მარი კიურის საგრანტო პროგრამები

მოკლე მიმოხილვა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
2012

მარი კიურის საგრანტო პროგრამები

ევროკავშირის კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამა შედგება ოთხი ქვეპროგრამისაგან: "თანამშრომლობა", "იდეები", "კადრები" და "შესაძლებლობები". ქვეპროგრამა "კადრები" (ბიუჯეტი შეადგენს 4,73 მილიარდ ევროს) ხორციელდება მარი კიურის პროგრამების საშუალებით, რომლებიც მოიცავენ მეცნიერების პრაქტიკულად ყველა დარგს და უზრუნველყოფენ მეცნიერთა მობილობასა და მათ კარიერულ ზრდას.

მარი კიურის საგრანტო პროგრამები ეხმარება ინდივიდუალურ მკვლევრებს, რომლებსაც აქვთ სურვილი დროებით იმუშაონ სხვა ქვეყანაში. იგი ხელს უწყობს ევროპის, როგორც ერთიანი კვლევითი სივრცის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. გრანტები გაიცემა როგორც ევროპელ მკვლევრებზე და ასევე მესამე ქვეყნების მეცნიერებზე.

შესაბამისად, მარი კიურის საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ქართველ მეცნიერებსაც, კერძოდ ისეთ პროგრამებში როგორიცაა:

1. კადრების საწყისი მომზადების ქსელები (ITN)
2. მრეწველობასა და სამეცნიერო სფეროს შორის თანამშრომლობა (IAPP)
3. მესამე ქვეყნების მეცნიერების ევროპაში მიწვევის სტიპენდიები (IIF)
4. მეცნიერთა კვლევითი ინტეგრაციის ხელშემწყობი გრანტები (CIG)
5. ევროპული რეინტეგრაციის გრანტები (ERG)
6. სამეცნიერო კადრების საერთაშორისო გაცვლის სქემა (IRSES)

მარი კიურის პროგრამების ფარგლებში არ ფინანსდება შემდეგი კვლევები:

- ➔ ადამიანის კლონირება
- ➔ კვლევები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადამიანსა და მისი შთამომავლობის გენეტიკაზე (შეზღუდვა არ ვრცელდება სიმსივნის მკურნალობასთან დაკავშირებულ კვლევის მეთოდებზე)
- ➔ სამუშაოები, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის ემბრიონის შექმნას, მისი შემდგომი კვლევებისა, ან ღეროვანი უჯრედების მიღებისთვის.

მარი კიურის პროგრამაში მონაწილეობისთვის საბუთების წარსადგენად მკვლევარმა უნდა

- მოიძიოს მომწვევი ინსტიტუტი და შეუთანხმდეს სამეცნიერო თემაზე
- ჩამოტვირთოს აპლიკანტებისთვის განკუთვნილი ინსტრუქცია (guide)
- დარეგისტრირდეს შესაბამის კონკურსზე განცხადების ელექტრონულად წარდგენის სერვისის მეშვეობით (Electronic Proposal Submission Service), მარი კიურის პროგრამის ოფიციალურ ვებგვერდზე: (*http://ec.europa.eu/research/mariecurieactions/index.htm*):
- შეავსოს სააპლიკაციო ფორმა
- მოამზადოს წინადადება ინსტრუქციაში არსებული აპლიკანტებისთვის განკუთვნილი შაბლონის მიხედვით
- მოიძიოს რეცენზენტი საჭიროების შემთხვევაში
- წარადგინოს საპროექტო წინადადება ელექტრონული ფორმით

კადრების საწყისი მომზადების ქსელები

(Initial Training Networks - ITN)

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდა მკვლევართა მობილობის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას (მათ შორისაა: ხელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნა, ხანმოკლე სასწავლო ღონისძიებები - სამეცნიერო, საზაფხულო სკოლები და ა.შ.) და მიმართულია მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე სამეცნიერო კარიერის საწყის ეტაპზე. ITN-ის წესების შესაბამისად, რამდენიმე ორგანიზაციისაგან შემდგარი კონსორციუმი ამზადებს (ქსელურ) სამეცნიერო პროექტს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ახალგაზრდა მეცნიერთა სწავლება და მათთვის გამოცდილების გაზიარება. კონსორციუმი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 ორგანიზაციისაგან (უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო დაწესებულებები, საწარმოები, საერთაშორისო ორგანიზაციები), ევროკავშირის სამი სხვადასხვა წევრი ან ასოცირებული ქვეყნიდან, (მინიმუმ ორი უნდა იყოს ევროკავშირის წევრი). ამასთან ერთად, შესაძლებელია მესამე ქვეყნის ორგანიზაციების მონაწილეობაც (მათ შორის საქართველოდან).

პროგრამაში მონაწილეობს:

ITN-ში მონაწილეობს სულ მცირე სამი ორგანიზაცია, რომლებიც დაფუძნებულია ევროკავშირის მინიმუმ სამ სხვადასხვა წევრ ან ასოცირებულ ქვეყანაში. ასევე მონაწილეობა შეუძლიათ მესამე ქვეყნების ორგანიზაციებსაც. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ **უნივერსიტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს, კომპანიებს** და სხვ.

მკვლევრები უნდა იყვნენ ევროკავშირის წევრი, ასოცირებული ქვეყნების ან მესამე ქვეყნების მოქალაქეები. ამასთან ისინი არ უნდა იყვნენ იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელშიც მდებარეობს მათი მომწვევი ორგანიზაცია. მკვლევრები ვერ მიიღებენ მონაწილეობას პროგრამაში იმ შემთხვევაში, თუ ბოლო სამი წლის პერიოდში ჯამში თორმეტ თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდნენ მომწვევი ორგანიზაცის ქვეყანაში.

გამონაკლისის სახით ზოგჯერ შესაძლებელია ერთი ორგანიზაციის მონაწილეობაც. თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროა იმის დასაბუთება, რომ სრულდება მოცემულ პროგრამაში მონაწილეობისთვის ყველა პირობა და ასევე სრულფასოვნად არის წარმოჩენილი **საერთაშორისო თანამშრომლობა სხვა კვლევით ინსტიტუტებთან.**

რომელი სამეცნიერო თემები შეიძლება დაფინანსდეს?

EURATOM-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სფეროების გარდა შეიძლება დაფინანსდეს ყველა სამეცნიერო დისციპლინა, იმ პირობით, რომ დაცული იქნება საერთაშორისო მობილობის წესები, კერძოდ მკვლევრები უნდა იყვნენ ევროკავშირის

წევრი, ასოცირებული ქვეყნების ან მესამე ქვეყნების მოქალაქეები. ამასთან ისინი არ უნდა იყვნენ იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელშიც მდებარეობს მათი მომწვევი ორგანიზაცია. მკვლევრები ვერ მიიღებენ მონაწილეობას პროგრამაში იმ შემთხვევაში, თუ ბოლო სამი წლის პერიოდში ჯამში თორმეტ თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდნენ მომწვევი ორგანიზაციის ქვეყანაში. თუ მკვლევარი არის ორი ან მეტი ქვეყნის მოქალაქე, მობილობის პერიოდში მას შეუძლია გაიაროს ტრენინგი იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეობაც გააჩნია, იმ პირობით თუ მას იქ არ უცხოვრია ბოლო 5 წლის განმავლობაში. მოკლევადიანი ვიზიტი, მაგალითად შვებულება, არ მიიღება მხედველობაში.

რას მოიცავს დაფინანსება?

ქსელი შეარჩევს და დაასაქმებს მკვლევრებს, ან უმასპინძლებს და შესთავაზებს სპეციალურ სატრეინინგო მოდულებს ან სხვა საქმიანობას. პროგრამა გულისხმობს საერთაშორისო თანამშრომლობას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მაღალი დონის საწყისი კვლევითი ტრეინინგების ჩატარებას ევროკავშირის წევრ და ასოცირებულ ქვეყნებში.

სწავლების პროგრამა მიზნად ისახავს სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნის მიღებას, რაც მიიღწევა ინდივიდუალური პროექტების განხორციელების მეშვეობით. პროგრამა მოიცავს დამატებით ელემენტებს, რომლებიც მიმართულია სხვა მნიშვნელოვანი ცოდნის და უნარჩვევების შესაძენად, მაგალითად: კვლევითი პროექტების და პროგრამების მართვა და დაფინანსება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და სხვა.

ძალზე მნიშვნელოვანია კერძო კომერციული სტრუქტურების ჩართვა, რადგან ის უზრუნველყოფს მრავალფეროვნებას და ზრდის მკვლევრების გამოცდილების პრაქტიკულ გამოსავალს

ტრეინინგები ჩატარდება ინდივიდუალური პროექტების ფორმით, რომელსაც დაემატება სხვა მნიშვნელოვანი უნარჩვევების სატრეინინგო მოდულები.

ტრეინინგები ტარდება შემდეგ საკითხებზე:

- **კვლევითი პროექტების მენეჯმენტი და დაფინანსება**
- **ინტელექტუალური საკუთრების უფლებები**
- **სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოყენების საშუალებები**
- **მეწარმეობა**
- **ეთიკური ასპექტები**
- **კომუნიკაცია და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება**

ITN დაფინანსება ხელს უწყობს:

1. **მკვლევრებს, რომლებიც იმყოფებიან თავისი სამეცნიერო კარიერის პირველი ხუთი წლის ეტაპზე** (PhD, PhD-ის ეკვივალენტური ხარისხი, ან პოსტ-დოქტორულ კვლევაში ჩართული პირი)
2. **კავშირების დამყარებას, გასვლით ღონისძიებებს, სემინარებსა და კონფერენციებს,** რომლებშიც მონაწილეობენ ქსელში ჩართული კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლები და უცხოელი მკვლევრები.

პროექტი აფინანსებს:

- ➔ დამწყებ მკვლევართა საცხოვრებელ ხარჯებს წელიწადში €38 000 ოდენობით
- ➔ გამოცდილ მკვლევართა საცხოვრებელ ხარჯებს წელიწადში €58 500 ოდენობით

ასევე იფარება მობილობის ხარჯები €1000 ოდენობით დაოჯახებული, ხოლო €700 დაუოჯახებელი მკვლევრებისთვის.

ITN იწვევს მკვლევრებს **მსოფლიოს ყველა კუთხიდან** და ხელს უწყობს **ტრანსნაციონალურ მობილობას.**

პროექტები ფინანსდებიან 4 წლის ვადით. **დამწყები მკვლევრებისთვის** დაფინანსების ხანგრძლივობა **არის 3-დან 36 თვემდე, ხოლო გამოცდილი მკვლევრებისთვის 24 თვემდე.**

ვინ იღებს გადაწყვეტილებას?

ITN პროექტების შერჩევა ხდება ღია კონკურსში, რომელიც ტარდება გამჭვირვალე და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების გამოყენებით და ფასდება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

მრეწველობასა და სამეცნიერო სფეროს შორის თანამშრომლობა

(Industry Academia Partnerships and Pathways)

პროგრამა ხელს უწყობს მრეწველობასა და მეცნიერებას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

პროგრამაში მონაწილეობა:

კონსორციუმი უნდა შედგებოდეს სულ მცირე ორი ორგანიზაციისაგან: (1) ერთი უნივერსიტეტი ან სამეცნიერო დაწესებულება და (2) ერთი სამრეწველო კომპანია. პარტნიორები შეიმუშავებენ და წარადგენენ ერთობლივ პროექტს. ინდუსტრიული პარტნიორების საქმიანობა და შემოსავალი უნდა იყოს დაკავშირებული საბაზრო კონკურენციასთან. პროექტის კოორდინირება შეუძლია მხოლოდ ევროკავშირის ან ასოცირებული ქვეყნის წარმომადგენელს.

პროგრამაში სავალდებულოა საერთაშორისო თანამშრომლობა, რომელშიც უნდა მონაწილეობდნენ პარტნიორები **ევროკავშირის წევრი ან/და ასოცირებული ქვეყნიდან, ამასთან, ევროკავშირის სულ მცირე ერთი წევრი ქვეყნის ჩართვა აუცილებელი პირობაა.** მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ასევე პარტნიორებს მესამე ქვეყნებიდან, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ევროკავშირის და ასოცირებული წევრების წარმომადგენელთა საკმარისი რაოდენობაა წარმოდგენილი მოცემულ კოოპერაციაში.

მონაწილეობა შეუძლიათ მეცნიერებს, რომლებიც მუშაობენ პროექტში ჩართულ ორგანიზაციებში სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია მაღალკვალიფიცირებული მკვლევრების მოზიდვა, რომლებიც არ მუშაობენ პარტინორ ორგანიზაციებში. მკვლევრების პროექტში მონაწილეობის ხანგრძლივობა შეადგენს 2-24 თვეს, ხოლო თავად პროექტი შეიძლება გაგრძელდეს 4 წელი.

რომელი სამეცნიერო თემები შეიძლება დაფინანსდეს?

შეიძლება დაფინანსდეს ევროკავშირისთვის საინტერესო ყველა სამეცნიერო და ტექნოლოგიური სფერო.

პროექტი ხელს უნდა უწყობდეს **სამეცნიერო სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის დანერგვას,** რომელიც კოორდინირებული იქნება მეწარმე ან აკადემიურ პარტნიორთან.

ასევე მნიშვნელოვანია ხანგრძლივი თანამშრომლობა, რომლის დროსაც გამოყენებულია პარტნიორობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა უნარი და შესაძლებლობა. არ ფინანსდება მხოლოდ EURATOM-ის ხელშეკრულებით დადგენილი სფეროები.

დაფინანსება მოიცავს:

- **ნოუ ჰაუს და გამოცდილების გაცვლას** სამრეწველო და სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის ორმხრივი ან ცალმხრივი მივლინებების საშუალებით.
- **გამოცდილი მკვლევრების მოზიდვას** ისეთი ქვეყნებიდან, რომლებიც არ მონაწილეობენ აღნიშნულ პროგრამაში, რათა მოხდეს ცოდნის გაცვლა ან/და მკვლევრების ტრენინგი.
- **კავშირების დამყარებას, სემინარებსა და კონფერენციებს,** რომლებშიც ჩართულები არიან გარედან მოწვეული მკვლევრები ისევე, როგორც პარტნიორების სამეცნიერო პერსონალი.

პროექტის დაფინანსება მოიცავს:

- საცხოვრებელ ხარჯებს ხელფასის სახით 4 წელამდე გამოცდილების მქონე მკვლევრებისთვის წელიწადში €38 000
- საცხოვრებელ ხარჯებს ხელფასის სახით 10 წელამდე გამოცდილების მქონე მკვლევრებისთვის წელიწადში €58 500
- საცხოვრებელ ხარჯებს ხელფასის სახით 10 წელზე მეტი გამოცდილების მქონე მკვლევრებისთვის წელიწადში €87 500

ასევე იფარება მობილობის ხარჯები €1000 ოდენობით დაოჯახებული, ხოლო €700 დაუოჯახებელი მკვლევრებისთვის.

ვინ იღებს გადაწყვეტილებას?

IAPP პროექტების შერჩევა ხდება ღია კონკურსში, რომელიც ტარდება გამჭვირვალე და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების გამოყენებით და ფასდება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

მესამე ქვეყნების მეცნიერების ევროპაში მიწვევის სტიპენდიები (Incoming International Fellowships)

მესამე ქვეყნების მეცნიერების ევროპაში მიწვევის სტიპენდიების მიზანია - ევროპულ ორგანიზაციებში მესამე ქვეყნებიდან მაღალი დონის მეცნიერების მიწვევა სამუშაოდ, რათა გაღრმავდეს ურთიერთსასარგებლო სამეცნიერო თანამშრომლობა.

პროგრამაში მონაწილეობს:

მონაწილეობის მიღება შეუძლია მესამე ქვეყნების მკვლევრებს, რომლებიც ეწვევიან ევროკავშირის წევრ ან ასოცირებულ ქვეყანას. პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს უნდა გააჩნდეთ **დოქტორის, ან სულ მცირე მაგისტრის ხარისხი.** თუმცა ეს არის მინიმალური პირობა, რეალურად კი, რაც მეტი გამოცდილება გააჩნია მეცნიერს, მით მეტია პროგრამაში მისი მოხვედრის ალბათობა.

მკვლევარმა და მისმა მომწვევმა ორგანიზაციამ ერთობლივად უნდა მოამზადონ და წარადგინონ წინადადება. მომწვევი ორგანიზაცია შეიძლება იყოს უნივერსიტეტი, კვლევითი ცენტრი ან კომპანია.

რომელი სამეცნიერო თემები შეიძლება დაფინანსდეს?

IIF აფინანსებს ყველა სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კვლევას, გარდა EURATOM-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვლევებისა.

რას მოიცავს დაფინანსება?

მესამე ქვეყნების მეცნიერების ევროპაში მიწვევის სტიპენდია გაიცემა ისეთ კვლევით პროექტებზე, რომლებიც ხელს უწყობენ **ცოდნის გადაცემას** მეცნიერის მასპინძელ ორგანიზაციაში და აღრმავებენ ევროპასა და დანარჩენ სამყაროს შორის თანამშრომლობას. ასევე, კვლევითი პროექტი აძლევს მკვლევარს **კარიერული წინსვლის** საშუალებას. დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივობა შეადგენს **12-24 თვეს.** დაფინანსება მოიცავს საცხოვრებელ ხარჯებს გამოცდილი მკვლევრებისთვის წელიწადში €58 500 ოდენობით.

დაფინანსებით შესაძლებელია:

- მეცნიერის მიერთება ევროპულ კვლევით ჯგუფთან
- კვლევითი პროექტის ფარგლებში თანამშრობლობის დამყარება მკვლევრის ლაბორატორიასთან, ან მის ქვეყანასთან
- ახალი ცოდნის შეძენა ევროპულ ლაბორატორიაში.

სტიპენდიას ასევე შეუძლია მოიცვას ***დაბრუნების ეტაპი,*** რომლის დროსაც მკვლევარმა უნდა **გამოიყენოს** პროგრამაში მონაწილეობით მიღებული **გამოცდილება.** აღნიშნული აქტივობა მკვლევრის ქვეყანაში ტარდება და მისი ხანგრძლივობა შეადგენს 1 წელს. დაბრუნების ეტაპში მონაწილე მკვლევარი უნდა იყოს იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც შედის *პარტნიორი სახელმწიფოების საერთაშორისო თანამშრომლობის* ჯგუფში, რომელის წევრიც არის საქართველო. ამ ქვეყნების სრული სიის ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: *http://ec.europa.eu/research/iscp/pdf/icpc_countries_en.pdf*. თუ მკვლევარს სურს დაბრუნების ეტაპში მონაწილეობა, მან უნდა მიუთითოს ამის შესახებ განაცხადის შევსების დროს. ასევე აუცილებელია, რომ მკვლევარმა მიუთითოს პოტენციური მასპინძელი ორგანიზაცია საკუთარ ქვეყანაში.

ვინ იღებს გადაწყვეტილებას?

IIF პროექტების შერჩევა ხდება ღია კონკურსში, რომელიც ტარდება გამჭვირვალე და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების გამოყენებით და ფასდება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

მეცნიერთა კვლევითი ინტეგრაციის ხელშემწყობი გრანტები

(Career Integration Grants)

პროგრამა განკუთვნილია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მომუშავე მკვლევართათვის, რომელთაც სურთ აიმაღლონ პროფესიული დონე ევროპის ქვეყნებში.

პროგრამაში მონაწილეობს:

მონაწილეები უნდა იყვნენ გამოცდილი **მკვლევრები** მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან არანაკლებ **ოთხწლიანი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილებით ან დოქტორის ხარისხით.** მკვლევარი ბოლო სამი წლის პერიოდში ჯამში თორმეტ თვეზე მეტ ხანს არ უნდა იყოს ნამუშევარი მომწვევი ორგანიზაციის ქვეყანაში. ასევე მკვლევარს არ უნდა ჰქონდეს წარსულში მიღებული ევროპული ან საერთაშორისო რეინტეგრაციის გრანტი, (ERG ან IRG) ან მეცნიერთა კვლევითი ინტეგრაციის ხელშემწყობი გრანტი (CIG).

რომელი სამეცნიერო თემები შეიძლება დაფინანსდეს?

CIG აფინანსებს ყველა სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კვლევას, გარდა EURATOM-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვლევებისა.



რას მოიცავს დაფინანსება?

მეცნიერთა კვლევითი ინტეგრაციის ხელშემწყობი გრანტით იფარება მიმწვევ ორგანიზაციაში მეცნიერის მიერ ჩატარებული კვლევების ხარჯები, გაიცემა ხელფასები პროექტში

მონაწილე მკვლევრებზე, ან დამხმარე პერსონალზე და ხდება მგზავრობის, ზედნადები ხარჯების, საპატენტო და საგამომცემლო ხარჯების ანაზღაურება. **გრანტის ხანგრძლივობა არის 4 წელი** და თითო მკვლევრისთვის შეადგენს **€ 25 000** წელიწადში. მკვლევრის კანდიდატურის დამტკიცების შემთხვევაში, ევროკომისია გააფორმებს ხელშეკრულებას მკვლევრის ევროპაში მიმწვევ ორგანიზაციასთან.

გრანტის მიზანია ევროპაში **კვლევითი პოტენციალის მნიშვნელოვანი გაძლიერება**, რაც მიიღწევა **მკვლევრების ინტეგრაციით გრძელვადიან სამეცნიერო-კვლევით თანამდებობებზე.**

მკვლევრის **მომწვევი ორგანიზაცია უნდა იყოს ევროკავშირის წევრი ან ასოცირებული ქვეყნის უნივერსიტეტი, კვლევითი ცენტრი ან კომპანია.**

ვინ იღებს გადაწყვეტილებას?

CIG პროექტების შერჩევა ხდება ღია კონკურსში, რომელიც ტარდება გამჭვირვალე და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების გამოყენებით და ფასდება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

ევროპული რეინტეგრაციის გრანტები

(European Reintegration Grants)

მარი კიურის ევროპული რეინტეგრაციის გრანტი ხელს უწყობს იმ მკვლევრების ხელახალ ჩართულობას ხანგრძლივ კვლევით საქმიანობაში, რომლებიც უკვე მონაწილეობდნენ მარი კიურის პროგრამებში.

პროგრამაში მონაწილეობს:

მონაწილეები შეიძლება იყვნენ ნებისმიერი ეროვნების მინიმუმ **4 წლიანი სამეცნიერო გამოცდილების ან სადოქტორო ხარისხის მქონე პირები.** გარდა ამისა, მკვლევარს უნდა ჰქონდეს მიღებული მარი კიურის პროგრამაში მონაწილეობის არანაკლებ 18 თვიანი გამოცდილება.

რას მოიცავს დაფინანსება?

რეინტეგრაციის გრანტი უზრუნველყოფს პროექტში მონაწილე მკვლევრების, ან დამხმარე პერსონალის შრომის, მგზავრობის და ზედნადები ხარჯების ანაზღაურებას. გრანტი გაიცემა **2-3 წლის ვადით.** მკვლევრის **მომწვევი ორგანიზაცია უნდა იყოს უნივერსიტეტი, კვლევითი ცენტრი ან სამეწარმეო კომპანია ევროკავშირის წევრ ან ასოცირებულ ქვეყანაში. დაფინანსება შეადგენს € 15 000 წელიწადში.**

რომელი სამეცნიერო თემები შეიძლება დაფინანსდეს?

ERG აფინანსებს ყველა სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კვლევას, გარდა EURATOM-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვლევებისა.

ვინ იღებს გადაწყვეტილებას?

ERG პროექტების შერჩევა ხდება ღია კონკურსში, რომელიც ტარდება გამჭვირვალე და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების გამოყენებით და ფასდება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

სამეცნიერო კადრების საერთაშორისო გაცვლის სქემა

(International Research Staff Exchange Scheme)

მარი კიურის კვლევითი სამეცნიერო კადრების საერთაშორისო გაცვლის სქემა ხელს უწყობს ორგანიზაციებს შორის ხანგრძლივი თანამშრომლობის დამყარებას ან გაძლიერებას პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართვის გზით.

პროგრამაში მონაწილეობს:

IRSES-ში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საერთაშორისო ან კერძო ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ საზოგადოებრივი მისია **(უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები** და სხვ.) აღნიშნულ პროგრამაში უნდა მონაწილეობდეს მინიმუმ ორი დაწესებულება ევროკავშირის წევრი ან ასოცირებული ქვეყნიდან და ერთი (ან მეტი) უცხოური ორგანიზაცია. აღნიშნული ორგანიზაცია შეიძლება წარმოადგენდეს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყანას, ან ნებისმიერ სხვა ქვეყანას, რომელთანაც ევროკავშირს დადებული აქვს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში თანამშრომლობის შეთანხმება.

რას მოიცავს დაფინანსება?

მესამე ქვეყნებში მყოფი ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ან ასოცირებული ქვეყნების წარმომადგენლები ფინანსდებიან ფიქსირებული თანხით მობილობის ხარჯების დასაფარავად. (მგზავრობის ღირებულების ჩათვლით)

საგრანტო ხელშეკრულებები კომისიასთან გაფორმებულია 2-4 წლის ვადით. პერსონალის გაცვლის მაქსიმალური ხანგრძლივობა არის 12 თვე.

ხარჯები მოიცავს მგზავრობას და კვებას, ორგანიზაციულ მუშაობას და ზედნადებ ხარჯებს.

მესამე ქვეყნებში მივლინებული ევროკავშირის წარმომადგენლებისთვის გამოიყოფა ყოველთვიურად ფიქსირებული თანხა € 1900 ოდენობით, ხოლო ევროპისგან დაშორებულ ქვეყნებში (ბრაზილია, არგენტინა, კანადა, მექსიკა, იაპონია და სხვ.) მყოფ მკვლევრებს დამატებით ეძლევათ € 200 თვეში.

მესამე ქვეყნების მკვლევრები ასევე იღებენ იმავე დაფინანსებას (€ 1900), თუმცა ამისათვის აუცილებელია რომ მათი ქვეყანა წარმოადგენდეს *"საერთაშორისო თანამშრომლობის*

პარტნიორი ქვეყნები"-ს წევრს. (International Cooperation Partner Country) ამ ქვეყნების სია წარმოდგენილია შემდეგ მისამართზე:

http://www.fp7.org.tr/tubitak_content_files/285/uie_dokuman/icpc_countries_en.pdf

რომელი სამეცნიერო თემები შეიძლება დაფინანსდეს?

IRSES აფინანსებს ყველა სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კვლევას, გარდა EURATOM-ის ხელშეკრულებით გათავალისწინებული კვლევებისა.



ვინ იღებს გადაწყვეტილებას?

IRSES პროექტების შერჩევა ხდება ღია კონკურსში, რომელიც ტარდება გამჭვირვალე და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების გამოყენებით და ფასდება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.